I

ტესტი ისტორიაში

2015

ინსტრუქცია

თქვენს წინაშეა საგამოცდო ტესტის ბუკლეტი და ამ ტესტის პასუხების ფურცელი.

გაითვალისწინეთ, გასწორდება მხოლოდ პასუხების ფურცელი!

პასუხების ფურცლის გაკეცვა დაუშვებელია!

ყურადღებით გაეცანით ტესტის ყოველი დავალების ინსტრუქციას, კარგად გაიაზრეთ თითოეული დავალების მოთხოვნა და შემდეგ დაიწყეთ მუშაობა. პასუხები ჩაწერეთ პასუხების ფურცლის შესაბამის ადგილზე. პასუხების ფურცელში არ შეიძლება გაკეთდეს ზედმეტი სახის მინაწერები (სახელი, გვარი ან რაიმე სახის სხვა აღნიშვნა). ნაშრომები, რომელშიც იქნება მსგავსი აღნიშვნები, არ გასწორდება!

პირველი ტიპის დავალებაში თქვენს მიერ არჩეული პასუხის სწორად მონიშვნის ერთადერთი გზა სათანადო უჯრაში X ნიშნის დასმაა. არცერთი სხვა აღნიშვნა, ჰორიზონტალური თუ ვერტიკალური ხაზები, შემოხაზვა და ა.შ. ელექტრონული პროგრამის მიერ არ აღიქმება. თუ გსურთ პასუხების ფურცელზე მონიშნული პასუხის გადასწორება, მთლიანად გააფერადეთ უჯრა, რომელშიც დასვით X ნიშანი და შემდეგ მონიშნეთ პასუხის ახალი ვარიანტი (დასვით X ნიშანი ახალ უჯრაში). შეუძლებელია, ხელმეორედ აირჩიოთ ის პასუხი, რომელიც გადაასწორეთ.

სხვა ტიპის დავალებებში თქვენს მიერ დაშვებული შეცდომა აუცილებლად უნდა გადახაზოთ (არავითარ შემთხვევაში არ გამოიყენოთ ფრჩხილები!) და ზემოთ დააწეროთ სწორი პასუხი.

წერეთ გარკვევით და იმყოფინეთ პასუხებისათვის განკუთვნილი ადგილები.

ყოველ შეკითხვას გაეცით კონკრეტული და ამომწურავი პასუხი.

ტესტზე სამუშაოდ აბიტურიენტს ეძლევა 2,5 საათი.

შავი სამუშაოსათვის შეგიძლიათ გამოიყენოთ ტესტში არსებული ცარიელი ადგილები.

გისურვებთ წარმატებას!

ინსტრუქცია

თითოეულ კითხვაზე მოცემულია ოთხი სავარაუდო პასუხი. მათგან მხოლოდ ერთია სწორი. თქვენს მიერ არჩეული პასუხის მონიშვნის ერთადერთი გზა პასუხების ფურცელზე სათანადო უჯრაში X ნიშნის დასმაა. არცერთი სხვა აღნიშვნა, ჰორიზონტალური თუ ვერტიკალური ხაზები, შემოხაზვა და ა.შ. ელექტრონული პროგრამის მიერ არ აღიქმება. თუ გსურთ პასუხების ფურცელზე მონიშნული პასუხის გადასწორება, მთლიანად გააფერადეთ უჯრა, რომელშიც დასვით X ნიშანი და შემდეგ მონიშნეთ პასუხის ახალი ვარიანტი (დასვით X ნიშანი ახალ უჯრაში). შეუძლებელია, ხელმეორედ აირჩიოთ ის პასუხი, რომელიც გადაასწორეთ. თითოეული დავალება 1 ქულით ფასდება.

1. რა გახდა დიაოხის განადგურების მიზეზი?

ა. მეზობელ სახელმწიფოებთან დაპირისპირება
ბ. სტიქიური მოვლენით გამოწვეული ნგრევა
გ. მომთაბარეთა სისტემატური შემოსევები
დ. მრავალწლიანი მოუსავლიანობა

2. როგორ განაპირობებდა პოლისებში არსებული დემოგრაფიული ვითარება ბერძნული კოლონიზაციის განვითარებას?

ა. პოლისებში არსებული ეთნიკური სიჭრელით გამოწვეული ეკონომიკური წინსვლა ხელს უწყობდა კოლონიზაციას
ბ. პოლისის მოსახლეობის ჭარბი რაოდენობა საარსებო პირობების გაუმჯობესების მიზნით ახალ ადგილებზე მიდიოდა საცხოვრებლად
გ. პოლისებს შორის არსებული დემოგრაფიული დისბალანსი ერთი პოლისიდან მეორეში მოსახლეობის გადასვლას იწვევდა
დ. ადგილობრივი მოსახლეობის სიმცირე პოლისებში კოლონისტთა სახით დამატებითი მუშა-ხელის მოსვლას უწყობდა ხელს

3. რა წარმოადგენდა სოლონის რეფორმების ერთ-ერთ შედეგს?

ა. ტრიტიის ანუ არხონტთა კოლეგიის ჩამოყალიბება
ბ. სახალხო კრების ანუ ეკლესიის შექმნა
გ. არეოპაგის ანუ ბასილევსთა საბჭოს დაფუძნება
დ. ოთხასთა საბჭოს ანუ ბულეს დაარსება

4. რომელი სამხედრო სიახლის გამოყენებამ შეუწყო ხელი ალექსანდრე დიდის წარმატებას ძვ.წ. IV საუკუნეში?

ა. რომაული ლეგიონის

ბ. მაკედონური ფალანგის

გ. ფინიკიური აბჯრის

დ. ბერძნული საბრძოლო ეტლის

5. რა უმთავრესმა მიზეზმა განაპირობა პუნიკური ომები?

ა. ალექსანდრე მაკედონელის იმპერიის აღდგენის მცდელობამ

ბ. დიდი აბრეშუმის გზის ხელში ჩაგდების სურვილმა

გ. ბერძნულ პოლისებს შორის პირველობის მოპოვების მცდელობამ

დ. ხმელთაშუა ზღვის აუზში გაბატონების სურვილმა

6. რომის იმპერიის მმართველობის ერთ-ერთ ფორმას ეწოდება პრინციპატი, რადგან პრინცეპსი ერქვა:

ა. იმპერიის უმაღლეს საკანონმდებლო ორგანოს

ბ. იმპერიაში მოქმედ კანონთა კრებულს

გ. იმპერიის უმაღლეს მმართველს

დ. იმპერიის პოლიტიკურ ელიტას

7. ვინ იყვნენ მოწინააღმდეგეები კატალაუნის ველზე გამართულ ბრძოლაში?

ა. საქსები და ნორმანები

ბ. რომაელები და ჰუნები

გ. ალანები და გერმანელები

დ. ბიზანტიელები და სლავები

8. რა ტიტული მიიღო ადარნასე ბაგრატიონმა IX საუკუნის ბოლოს?

ა. „საქართველოს მეფე“

ბ. „ქართლის მეფე“

გ. „ქართველთა მეფე“

დ. „ქართველთა და აფხაზთა მეფე“

9. რომელ სახელმწიფოსთან დაეძაბა ურთიერთობა კარლოს დიდს მის იმპერატორად კურთხევის გამო?

ა. არაბთა სახალიფოსთან

ბ. ბიზანტიის იმპერიასთან

გ. ვესტგოთების სამეფოსთან

დ. ლათინთა იმპერიასთან

10. რა გავლენა ჰქონდა ჯვაროსნული ლაშქრობების დაწყებას დავით აღმაშენებლის პოლიტიკაზე?

ა. დავითს მოკავშირეობა შესთავაზეს სომხეთის მეფე-მთავრებმა და ერთიანი ლაშქრის მთავარსარდლობა სთხოვეს

ბ. თურქებმა მოპოვებული გამარჯვებების შემდეგ სამხედრო ბეგარა დაუწესეს დავითს და მის ყმადნაფიც სამეფოებს

გ. დავითმა ისარგებლა თურქებისთვის შექმნილი სირთულეებით და მათ ხარკის გადახდა შეუწყვიტა

დ. განძის ათაბაგმა დაკარგა თურქთა დახმარების იმედი და ყმადნაფიცობის პირობით დაუზავდა დავითს

11. რომელ ქართულ სამონასტრო კოპლექსში არსებობდა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება - აკადემია?

ა. ალავერდში

ბ. სვეტიცხოველში

გ. ოპიზაში

დ. გელათში

12. რას მოითხოვდა დიდებულთა ნაწილი თამარის მეფობის დასაწყისში?

ა. კანონიერი მემკვიდრის, დემნა უფლისწულის გამეფებას

ბ. ტახტის მემკვიდრეობის ახალი წესის შემუშავებას

გ. დავით სოსლანის თამარის თანამოსაყდრედ კურთხევას

დ. დაბალი წარმომავლობის მოხელეთა თანამდებობებიდან გადაყენებას

13. სხვა მიზეზებთან ერთად, რამ მისცა ბიძგი დიდი გეოგრაფიული აღმოჩენების დაწყებას?

ა. ასწლიანი ომის დამთავრების შემდეგ დაუსაქმებელი მეომრების დიდმა რაოდენობამ

ბ. კონსტანტინოპოლის დაცემამ და აღმოსავლეთ-დასავლეთის სავაჭრო გზის ჩაკეტვამ

გ. საღვთო რომის იმპერიის მიერ იტალიის დაპყრობის შემდეგ ვენეციისა და გენუის დაცემამ

დ. კათოლიკური ეკლესიის მოწოდებამ მთელ მსოფლიოში ქრისტიანობის გავრცელების შესახებ

14. რა იყო რეფორმაციის ერთ-ერთი შედეგი?
ა. ბიბლიის გერმანულად თარგმნა
ბ. იეზუიტთა ორდენის აკრძალვა
გ. სასულიერო ორდენების დარბევა
დ. არაიტალიელი პაპის არჩევა

15. რაში გამოიხატა პეტრე I-ის მიერ რუსეთის ეკლესიაში განხორციელებული რეფორმა?
ა. კათოლიკოსობის გაუქმებასა და პატრიარქობის დაარსებაში
ბ. მიტროპოლიტობის გაუქმებასა და კონკლავის შემოღებაში
გ. ეგზარქოსობის გაუქმებასა და საკათოლიკოსო საბჭოს დაფუძნებაში
დ. პატრიარქობის გაუქმებასა და სინოდის შექმნაში

16. რომელმა პოლიტიკურმა ორგანომ მიიღო აშშ-ის „დამოუკიდებლობის დეკლარაცია“?
ა. ამერიკის სენატმა
ბ. დაუმორჩილებლობის საბჭომ
გ. წარმომადგენლობითმა პალატამ
დ. კონტინენტურმა კონგრესმა

17. რა იყო ვენის კონგრესის მოწვევის ერთ-ერთი მთავარი მიზანი?
ა. დამარცხებული ნაპოლეონის ელბაზე გადასახლება და გერმანიის გაერთიანება
ბ. ნაპოლეონის დამარცხების შემდეგ ევროპის ტერიტორიის ახალი გადანაწილება
გ. ინგლისსა და საფრანგეთს შორის ჩრდილოამერიკული კოლონიების გაყოფა
დ. ოსმალეთის იმპერიის დაშლა და პოლონეთის სახელმწიფოს აღდგენა

18. რომელი საზოგადოების პირველი თავმჯდომარე იყო დიმიტრი ყიფიანი?
ა. ქართველ მეწარმეთა საზოგადოების
ბ. ქართული დრამატული საზოგადოების
გ. ქართული საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების
დ. ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების

19. რა ეწოდებოდა აშშ-დან გამოყოფილი სამხრეთის შტატების მიერ შექმნილ გაერთიანებას?
ა. ამერიკის თავისუფალი შტატები
ბ. ამერიკის დამოუკიდებელი შტატები
გ. ამერიკის დემოკრატიული შტატები
დ. ამერიკის კონფედერაციული შტატები

20. რამ განაპირობა რუსეთის გამოსვლა პირველი მსოფლიო ომიდან?

ა. კავკასიის ფრონტზე რუსეთის ჯარების მუდმივმა წარუმატებლობამ

ბ. ავსტრია-უნგრეთის ჯარებთან ბრძოლაში განცდილმა მძიმე მარცხმა

გ. ამერიკის შეერთებული შტატების ომში ჩაბმამ

დ. რუსეთის ხელისუფლებაში ბოლშევიკების მოსვლამ

21. რა არარსებული „მოვლენა“ გამოიყენა საბაბად საბჭოთა რუსეთმა საქართველოზე თავდასხმისათვის 1921 წელს?

ა. ლორეს ოლქში მომხდარი აჯანყება

ბ. ქართული ჯარის შეტევა აჯანყებული სეპარატისტების წინააღმდეგ

გ. წითელი არმიისათვის საპასუხო საარტილერიო ცეცხლის გახსნა

დ. საქართველოს მიერ რუსეთთან დადებული ხელშეკრულების დარღვევა

22. სხვა ფაქტორებთან ერთად, რამ განაპირობა ფრანკოსთვის იტალიისა და გერმანიის მხრიდან სამხედრო დახმარების გაწევა?

ა. აშშ-ს მიერ ფრანკოს მოწინააღმდეგეთათვის იარაღის მიწოდებამ

ბ. საფრანგეთის მცდელობამ, ესპანეთში საკუთარი გავლენა დაემყარებინა

გ. საერთო ანტიკომუნისტურმა იდეოლოგიამ

დ. ფრანკოს მხრიდან მსოფლიო ომში ღია მხარდაჭერის პირობამ

23. რას გულისხმობდა „დაშოშმინების ანუ დაყვავების პოლიტიკა“?

ა. საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ ეკონომიკური სანქციების გამოყენებას

ბ. დათმობების გზით ნაცისტური გერმანიის აგრესიის შეჩერებას

გ. ევროპაში კომუნისტური იდეოლოგიის გავრცელების შეფერხებას

დ. უმუშევართათვის ახალი სამუშაო ადგილების შექმნას

24. რა შედეგით დასრულდა კორეის ომი?

ა. ჩრდილოეთ კორეაში დამყარდა დემოკრატიული მმართველობა

ბ. სამხრეთ კორეა შევიდა ნატოში

გ. ჩრდილოეთ და სამხრეთ კორეას შორის აღდგა სადემარკაციო ხაზი

დ. ჩრდილოეთ და სამხრეთ კორეა გაერთიანდა ერთ სახელმწიფოდ

ინსტრუქცია

ქრონოლოგიურად (უძველესიდან უახლესისაკენ) დაალაგეთ ისტორიული მოვლენები და პიროვნებები. პასუხები ჩაწერეთ პასუხების ფურცელზე მოცემულ უჯრებში. გაითვალისწინეთ, რომ უჯრაში იწერება მხოლოდ დასახელებული მოვლენის ან პიროვნების შესაბამისი ციფრი. პირველ უჯრაში იწერება ის ციფრი, რომლითაც ყველაზე ადრე მომხდარი მოვლენაა აღნიშნული და ა.შ. შესაბამისად, ბოლო, მესამე უჯრაში ის ციფრი ჩაიწერება, რომლითაც ყველაზე გვიან მომხდარი მოვლენა აღინიშნა. თითოეული დავალება 1 ქულით ფასდება.

25. ქრონოლოგიურად დაალაგეთ ძველი რომის ისტორიასთან დაკავშირებული მოვლენები:

1. კრასუსის მოღვაწეობა
2. რომის მიერ კართაგენის დანგრევა
3. ზამასთან ბრძოლა

26. ქრონოლოგიურად დაალაგეთ XVI-XVII საუკუნეების ოსმალეთის იმპერიასთან დაკავშირებული მოვლენები:

1. იან სობესკის მეთაურობით ოსმალთა დამარცხება
2. ოსმალთა მიერ ქალაქ ვენის აღების პირველი მცდელობა
3. სულეიმან კანონმდებლის მმართველობის დაწყება

27. ქრონოლოგიურად დაალაგეთ ერეკლე II-ის მეფობის დროს მომხდარი მოვლენები:

1. მორიგე ჯარის შექმნა
2. ხელშეკრულების დადება სოლომონ I-თან
3. ასპინძის ბრძოლა

28. ქრონოლოგიურად დაალაგეთ XX საუკუნეში მომხდარი მოვლენები:

1. ჩრდილოატლანტიკური კავშირის ჩამოყალიბება
2. ჰელსინკის შეთანხმება
3. ვარშავის პაქტის გაფორმება

ინსტრუქცია

ყურადღებით შეისწავლეთ ილუსტრაციები. გააანალიზეთ მოცემული ინფორმაცია და უპასუხეთ დასმულ კითხვებს. პასუხები ჩაწერეთ პასუხების ფურცლის შესაბამის ადგილას.

29.

წარწერა (რუსულად) ილუსტრაციაზე - „ფოსტა 40 კაპ.“

კითხვები:

(1) 29.1. რა სახის ნაბეჭდი პროდუქციაა წარმოდგენილი ილუსტრაციაზე?

(2) 29.2. რომელ კონკრეტულ ისტორიულ მოვლენასთან დაკავშირებითაა გამოშვებული წარმოდგენილი ნაბეჭდი პროდუქცია და რომელი მონარქის სახელს უკავშირდება ეს მოვლენა?

(2) 29.3. რომელ სახელმწიფოში გამოუშვეს წარმოდგენილი ნაბეჭდი პროდუქცია? პასუხი აუცილებლად დაასაბუთეთ მხოლოდ ილუსტრაციაზე მოცემული ინფორმაციის მიხედვით.

(1) 29.4. რა კონკრეტულ მიზანს ემსახურებოდა წარმოდგენილი ნაბეჭდი პროდუქციის გამოშვება?

30.

წარწერა (რუსულად) პლაკატზე „ფრონტს სსრკ-ის ქალებისაგან".

კითხვები:

(1) 30.1. რა იდეას უწევს პროპაგანდას პლაკატი?

(2) 30.2. რა გარემოებამ განაპირობა ამ იდეის პროპაგანდის საჭიროება? პასუხი აუცილებლად დაასაბუთეთ მხოლოდ პლაკატზე არსებული ინფორმაციის მიხედვით.

(2) 30.3. რომელი კონკრეტული ისტორიული მოვლენის დროს შეიქმნა წარმოდგენილი პლაკატი და მასზე არსებულ რა ინფორმაციაზე დაყრდნობით გააკეთეთ საკუთარი დასკვნა?

31. ქვემოთ მოტანილი ორივე ილუსტრაცია ეძღვნება ერთ მოვლენას.

№ 1



№ 2

კითხვები:

(2) 31.1. რომელ სახელმწიფოში განვითარებულ და რა კონკრეტულ ისტორიულ მოვლენას ასახავს მოცემული ილუსტრაციები?

(1) 31.2. ილუსტრაციებზე არსებული რა ინფორმაციის საფუძველზე გააკეთეთ საკუთარი დასკვნები?

(1) 31.3. რა შედეგით დამთავრდა მოვლენა, რომელსაც ეძღვნება წარმოდგენილი ილუსტრაციები?

ინსტრუქცია

ყურადღებით წაიკითხეთ ქვემოთ მოყვანილი ტექსტი და შეასრულეთ დავალება. პასუხები ჩაწერეთ პასუხების ფურცლის შესაბამის ადგილას. გაითვალისწინეთ, არგუმენტი უნდა იყოს კონკრეტული, ნათლად ჩამოყალიბებული და დასრულებული აზრის მქონე. დავალების მაქსიმალური ქულაა 2.

32. ანგლიკანური ეკლესიის ჩამოყალიბება

მეფე ჰენრი VIII-ის გადაწყვეტილებამ ინგლისის ეკლესიის რომის პაპის დაქვემდებარებიდან გამოსვლის შესახებ ლორდებში აზრთა სხვადასხვაობა გამოიწვია. ერთნი ემხრობოდნენ მეფის აზრს, სხვანი კი წინააღმდეგი იყვნენ.

მოიყვანეთ ერთი კონკრეტული არგუმენტი, რომლითაც ინგლისის ეკლესიის გამოყოფის მომხრე თავის პოზიციას დაიცავდა.

მოიყვანეთ ერთი კონკრეტული არგუმენტი, რომლითაც ინგლისის ეკლესიის გამოყოფის მოწინააღმდეგე თავის პოზიციას დაიცავდა.

ინსტრუქცია

დავალებაში მოცემულია გარკვეული ეპოქის ისტორიული რუკა. უპასუხეთ დასმულ კითხვებს, ხოლო პასუხები ჩაწერეთ პასუხების ფურცლის შესაბამის ადგილას. დავალების მაქსიმალური ქულაა 7.

33. უპასუხეთ დასმულ კითხვებს მხოლოდ რუკაზე არსებული ინფორმაციიდან გამომდინარე:

(2) 33.1. რომელი საუკუნეების ვითარებაა ასახული რუკაზე?

(1) 33.2. რომელ სახელმწიფოებს შორის მიმდინარე სამხედრო ოპერაციებია ასახული რუკაზე?

(2) 33.3. რომელი სახელმწიფოს გამარჯვებით დამთავრდა ომი და რუკაზე არსებული რა ინფორმაცია ადასტურებს თქვენ მოსაზრებას?

(1) 33.4. დაასახელეთ ისტორიული მხარეები, რომლებიც არც ერთ სახელმწიფოში არ შედის და სადაც არავის ულაშქრია.

(1) 33.5. რა ადმინისტრაციულ ერთეულებად იყოფა რუკაზე მოცემული ერთ-ერთი სახელმწიფო?


ბიზანტიის იმპერია
პრეფექტურების საზღვრები
სასანიანთა იერანი
საზღვარი სახელმწიფოებს შორის
ბიზანტიის შემადგენლობაში შესული ტერიტორია
ბრძოლის ადგილები და თარიღები
× 627
ისტორიული მხარე
ტომები
ალანები
ალბანეთი
ალბანეთი
ალბანეთი

ინსტრუქცია

ყურადღებით წაიკითხეთ ქვემოთ მოყვანილი ისტორიული დოკუმენტი, გაიაზრეთ ტექსტი და უპასუხეთ კითხვებს. პასუხები ჩაწერეთ პასუხების ფურცლის შესაბამის ადგილას. დავალების მაქსიმალური ქულაა 18.

34. ნაწყვეტი „ქართლის ცხოვრების“ ერთ-ერთი თხზულებიდან[1]

ვითარ ცნა მეფე რუსუდანმა თათართა მოახლოება, გაეცალა ტფილისს და ქუთათისში წავიდა. მან მცველად დატოვა მუხას ძე და დაუბარა, თუ თათრები დმანისამდე მოვიდოდნენ, გადაეწვა ტფილისი, დაეტოვებინა მხოლოდ პალატა და ისანი. როცა გაიგო მუხას ძემ თათართა მოახლოება, გადაწვა მთელი ქალაქი, სასახლესთან და ისანთან ერთად. ასე აოხრდა ქალაქი ტფილისი. ნოინები შემოვიდნენ ქართლში, თრიალეთში, ჯავახეთში, სამცხეში, ანისში, შავშეთში, კლარჯეთში, ტაოში, კოლაში, არტაანში. კალიებივით მოეფინენ ირგვლივ და დაიწყეს ხოცვა-ჟლეტა; აღარსად იყო ლხინი, უმოწყალოდ ნადგურდებოდა ქვეყანა. მანდატურთუხუცესი შანშე აჭარაში გაიქცა, ამირსპასალარი ავაგი კაენის ციხეში შევიდა, ვარამ გაგელი ქუთათისში გაიქცა. ჰერნი, კახნი, სომხითარ-ქართლელნი, მესხნი, ტაოელნი, თორელ-არტაან-კოლაელნი გარბოდნენ კავკასიისა და მთიულეთის ციხეებსა და მთებში, ტყეებსა და სიმაგრეებში. გაგრძელდა ქვეყნის მოსპობა და განადგურება ჩვენივე უსჯულოების გამო. ქართველებს ან მწარე ტყვეობა ელოდათ ან უმოწყალო სიკვდილი. შებრალება არ იცოდა მტერმა.

როდესაც ქვეყანა ამ გაუთავებელმა უბედურებამ მოიცვა, ძლიერი ერისთავები განცალკევდნენ, ყველა მხოლოდ საკუთარ თავზე ზრუნავდა, რადგან მეფე რუსუდანი საფუძვლიანად დამკვიდრდა ლიხს იქით. ლიხს აქეთ ვერ გადმოდიოდა. მეფეს მხოლოდ ლტოლვილები ხედავდნენ. ქართველები არ იყვნენ ერთ მუშტად შეკრულნი და ერთსულოვანნი.

ამ ბოროტების შემყურე ავაგ ამირსპასალარმა, ივანე მხარგრძელის ძემ, მოციქულები გაგზავნა ბარდავში, სადაც დაბანაკებული იყვნენ ზემოხსენებული მთავრები. ითხოვდა რა ზავს, ავაგი ჰპირდებოდა: მსახურებას, ხარკის გადახდას, თავისი ქვეყნის მათთვის დამორჩილებას. მან ითხოვა ხელშეუხებლობის ფიცი. თათრებმა სიხარულით მიიღეს ავაგის მოციქულობა და თანხმობა ფიცითაც განამტკიცეს. დამშვიდდა ავაგის სამფლობელო.

შეიტყო შანშე მანდატურთუხუცესმა ავაგისა და თათრების ზავის შესახებ, მანაც მოინდომა თავის ქვეყნის უვნებლად დაცვა, ეს კი მხოლოდ ზავით იყო შესაძლებელი. შანშემ სთხოვა

[1] *„ქართლის ცხოვრება“, საეკლესიო გამომცემლობა „ახალი ივერონი“, თბილისი, 2012 .*

ავაგს, წასულიყო და ემოციქულა მისთვის თათრებთან. თათრებმა ეს მოციქულობა სიხარულით მიიღეს და დადეს უვნებლობის ფიცი. შანშეც მათ ეახლა. თუ რომელიმე ქართველი თავადი მივიდოდა, სიხარულით ღებულობდნენ, ურჩების სამფლობელოს კი მიწასთან ასწორებდნენ. ეს რომ შეიტყო ვარამ გაგელმა, დამორჩილდა ისიც მტერს და ზავით შეწყნარებული მისი სამფლობელოც დამშვიდდა.

ქალაქი ტფილისი თათრებმა იგდეს ხელთ. ამ გაუსაძლისი გასაჭირით შევიწროებული ქართველი მთავრები დაემორჩილნენ თათრებს. მესხები, რუსუდან მეფის სიყვარულის გამო არ მიემხრნენ. ამის გამო გამძვინვარებულმა ჩაღატა ნოინმა ილაშქრა სამცხეზე. მესხები ციხეში ჩა-იკეტნენ. მრავალი სული მოისპო სამცხეში. სხვა გზა არ დარჩა და ივანე ციხისჯვარელმა ჯაყელმა, რომელსაც ყვარყვარესაც უწოდებდნენ და რომელიც თანამდებობით მეჭურჭლეთუხუცესი იყო და ამავე დროს სამცხის მთავარიც, მოახსენა მეფე რუსუდანს, რომ ისიც აპირებდა დამორჩილებოდა ჩაღატას, რათა სამცხის ქვეყანა აოხრებისგან ეხსნა. მეფე დათანხმდა. მაშინ წავიდა ივანე და იხილა ჩაღატა, რომელმაც პატივით მიიღო.

რუსუდან მეფემ დაინახა, რომ ქვეყნის აღმოსავლეთი თათრებმა დაიპყრეს. მან გადაწყვი-ტა, გაეგზავნა თავისი ძე დავითი და დაემორჩილებინა ის თათრებისთვის იმ პირობით, რომ არა-ფერს ავნებდნენ.

დაბრუნდა მეფე რუსუდანი ტფილისში და თავისი ძე დავითი ნოინთა წინაშე წარადგინა. ხოლო მათ ინებეს მისი წარვლენა დიდ ყაენ ბათოსთან და ყარაყორუმში, მანგუ ყაენთან. რა შეი-ტყო რუსუდანმა თავისი ძის წარვლინება უცხო ერში, უცნობი გზით, ტკივილითა და მწუხარებ-ით აღივსო. განუწყვეტლივ ცრემლთა ღვრაში იყო, იგონებდა, რა უყო თავისი ძმისწულ დავითს, როგორ გააძევა იგი. ასევე, გაძევებული, წარავლინეს თათრებმა მისი ძე ბათოსთან. რაკი აღარ იყო სხვა გზა, წავიდა დავით. რუსუდანმა თან გააყოლა რამდენიმე თანაშეზრდილი: ქართლის ერისთავის სურამელ გრიგოლის შვილი ბეგა, გურკლელი მახუნჯაგის ძე, ბეშქენ ამირეჯიბი. მი-აღწიეს ზემოხსენებულ ბათოსთან, რომელმაც კეთილად ისტუმრა დავით და ორი წელი თავის-თან ჰყავდა. შემდეგ კი წარავლინა ჩინმაჩინსა და ყარაყორუმში მანგუ ყაენთან. ყაენმა კეთილგან-წყობით მიიღო და ავაგს შეახვედრა, რომელიც მასზე ადრე იყო იქ მისული.

მეფე რუსუდანი საყვარელი შვილის გამო უზომოდ სწუხდა. დასნეულდა, ტფილისში გარდაიცვალა. მთავრებმა რუსუდანი დიდი პატივითა და გოდებით გაასვენეს, რადგან არავინ იყო დარჩენილი მეფის ნათესავთაგან.

ყველამ შეიტყო საქართველოს უმეფოდ დარჩენა. აღიძრა უამრავი მტერი ქვეყნის ასაოხ-რებლად - საბერძნეთში მყოფი თურქმანები, ეზინკის სულთანი, სხვა ქალაქში მყოფი ამირები.

უწინამძღვრა ყვარყვარემ მესხთა სპას და შეებნენ ერთურთს. ორივე მხრიდან დიდძალი მეომარი დაიღუპა. დამარცხდნენ ბერძნები და თურქები და გაიქცნენ.

კითხვები:

(1) 34.1. წყაროს მიხედვით, ზუსტად შეასრულა თუ არა მუხას ძემ მეფის ბრძანება? პასუხი აუცილებლად დაასაბუთეთ ტექსტის მიხედვით.

(1) 34.2. წყაროში არსებული რა ინფორმაცია ადასტურებს, რომ მონღოლთა შემოსევისას ისტორიული სომხეთის ტერიტორიის ნაწილი საქართველოს სამეფოს შემადგენლობაში შედიოდა?

(1) 34.3. წყაროს მიხედვით, განმარტეთ, რატომ ხედავდნენ მეფეს მხოლოდ ლტოლვილები?

(1) 34.4. წყაროში არსებული ინფორმაციიდან გამომდინარე, რატომ იქცა ზოგიერთი ქართველი დიდებულისთვის მისაბაძად ავაგის საქციელი?

(1) 34.5. თქვენ რომ ყოფილიყავით მონღოლთა შემოსევის პერიოდის ქართველი დიდებული, მათთან ურთიერთობის რა გზას აირჩევდით და როგორ დაასაბუთებდით საკუთარ გადაწყვეტილებას?

(1) 34.6. დაასახელეთ წყაროში მოხსენიებული ის მონღოლი მმართველები, რომლებთანაც გაემგზავრა რუსუდანის ძე.

(1) 34.7. წყაროს მიხედვით, რამ გამოიწვია საქართველოზე სხვადასხვა მუსლიმ მმართველთა გამოლაშქრება?

(2) 34.8. წყაროს მიხედვით, დაასახელეთ ყველა ის ვალდებულება, რომელსაც ავაგ მხარგრძელი მონღოლებისგან ზავის მიღების სანაცვლოდ კისრულობდა.

(2) 34.9. წყაროს მიხედვით, დაასახელეთ ორი მიზეზი, რამაც მონღოლებს საქართველოს დაპყრობა გაუადვილა.

(2) 34.10. მემატიანის აზრით, ქვეყნის განადგურება „ჩვენივე უსჯულოების გამო“ მოხდა. რა იგულისხმება „ჩვენივე უსჯულოებაში“ და რა განაპირობებს ავტორის მიერ მოვლენის ამგვარ ახსნას?

(2) 34.11. წყაროს მიხედვით, რა განასხვავებდა ყვარყვარესა და მონღოლებთან დაზავებული სხვა ქართველი დიდებულების საქციელის ერთმანეთისგან?

(3) 34.12. დაასახელეთ ტექსტში ნახსენები საქართველოს სამეფოს ცენტრალური აპარატის უმაღლესი სამოხელეო თანამდებობები.